პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 25 ივნისი, 1943 წ. № 135 (6760). ფასი 20 კაპ.

განუხრელად განვახორციელოთ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებანი

21-22 ივნისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. „ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ევკალიპტის რემონტის, შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და 2. „მოსავლის აღებისა და პურის დამზადების ორგანიზაციის შესახებ“.

საქართველოს ბოლშევიკებმა ციტრუსოვან კულტურათა განვითარების დარგში დიდი მუშაობა ჩაატარეს ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განსახორციელებლად. სუბტროპიკულ მეურნეობას საქართველოს ბოლშევიკებმა ენერგიული და დაუღალავი მუშაობით ჩაუყარეს საფუძველი ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** ხელმძღვანელობით. ამან უდიდესი შედეგები გამოიღო. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე თავის მოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა ღრმად და საფუძვლიანად განიხილა სუბტროპიკული კულტურების მდგომარეობა, დასახა კონკრეტული საბრძოლო ამოცანები მეურნეობის ამ ძვირფასი დარგის შემდგომი განვითარების, რემონტისა და შენახვის საქმეში.

სუბტროპიკული კულტურები მოითხოვენ მზრუნველ მოვლას. მართალია, 1941-42 წლის ზამთარმა სერიოზულად დააზიანა ციტრუსები, ძლიერმა ყინვებმა დააზრო ციტრუსების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ, ეჭვი არ არის, ზამთარმა მეტი ცუდი შედეგები სწორედ იმიტომ მოიტანა, რომ მთელ რიგ რაიონებში სრულიად არადამაკმაყოფილებლად უვლიდნენ პლანტაციებს, ცუდად იყო მოწყობილი ძათი გამოზამთრება. პლანტაციების მოვლა კი მთავარი და არსებითია. ამას გვასწავლის ამხანაგი **ლ. ბერია:**

„პლანტაციის გაშენება, ბოლოს და ბოლოს, არც ისე ძნელია. ყველაზე მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ შემდეგ პლანტაციების ყოველდღიური მოვლა ყველა საჭირო წესის დაცვით“. რომ ყოფილიყო კარგი მოვლა, ციტრუსოვანთა დანაკლისი ყინვებისაგან გაცილებით უფრო ნაკლები იქნებოდა. ციტრუსოვანი ხეების ნაწილს გაყინვა 5-6 გრადუსიან ყინვებში იმით აიხსნება, რომ ცუდი დამუშავებისა და სასუქთა შეუტანლობის გამო ციტრუსოვანი ხეების ნორჩმა ყლორტებმა მომწიფება და მომაგრება ვერ მოასწრო.

ამხ. კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში პლენუმზე მოიყვანა ციტრუსოვანთა პლანტაციების ცუდი ხარისხით მოვლის არა ერთი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ რაიონულმა ორგანიზაციებმა ბოლო დროს შეასუსტეს თავისი ყურადღება სუბტროპიკული კულტურისადმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს არა ერთხელ განუხილავთ ციტრუსოვანთა მეურნეობის მდგომარეობა ცალკეულ რაიონებში, ცალკეულ კოლმეურნეობებში. მიღებული იყო კონკრეტული გადაწყვეტილებანი, მიმართული ციტრუსოვან კულტურათა მოვლის გაუმჯობესებისაკენ.

მაგრამ დღემდეც მთელ რიგ რაიონებში კვლავ ადგილი აქვს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლისადმი. მაგალითად, გაგრის რაიონის სოფ. ოტრადნოეს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 6 ჰექტარი 5-6-წლიანი ნარგავები მთლად ჩახშობილია ტყით. ასეთივე სურათია ამავე რაიონის ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში. ქობულეთის რაიონშიც კი, სადაც ციტრუსოვანთა პლანტაციებს უფრო ყურადღებით ეპყრობიან, სოფ. დაგვის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში რამდენიმე ათეული ჰექტარი ლიმონის პლანტაცია მთლად გადავლილია თხმელით. აფხაზეთის ციტრუსოვანთა მეურნეობებში, სადაც ჰავა ხელს უწყობს პლანტაციების საუკეთესოდ შენახვას, ცუდი მოვლით უფრო მძიმე ზარალი იყო, ვიდრე ყინვებისაგან.

ციტრუსოვანთა ნარგავები, განსაკუთრებით ნორჩი ნარგავები მნიშვნელოვნად დაზიანდნენ პირუტყვისაგან. ბევრ კოლმეურნეობაში ყინვებს იმდენი ზარალი არ მიუყენებია ციტრუსებისათვის, რაც პირუტყვისაგან გაფუჭებამ მიაყენა. მეტისმეტად უყურადღებოდ მიტოვებული და გაფუჭებულია პლანტაციები მესამე ინტერნაციონალის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ამხ. არჩაია). ამ საბჭოთა მეურნეობაში ზოგ ხეზე ფოთლები გაყვითლდა და ნაწილობრივ დაცვიდა. პლანტაციები სარეველებით არის გადავლილი, სადრენაჟო არხები გაუწმენდელია.

ამასთან ერთად, რესპუბლიკაში ცოტა კი არ არის მოწინავე სუბტროპიკული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელთა მაგალითი მოწმობს იმას, რომ ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება ყველგან მივაღწიოთ ციტრუსოვანთა პლანტაციების კარგ მდგომარეობას. ასეთებია, მაგალითად, აფხაზეთის ცალკეული კოლმეურნეობები, მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, აჭარის მეტი წილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ციტრუსების ნარგავებისა და ევკალიპტის რემონტის, შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების საკითხების განხილვა ჩატარდა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, იმ ნაკლოვანებათა მხილებით, რაც სუბტროპიკულ მეურნეობაში არსებობს. პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში დასახულია კონკრეტული გზები და საშუალებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, მიმდინარე წელს ციტრუსების ნაყოფის უხვი მოსავლის მისაღებად. ამიტომ საჭიროა სუბტროპიკული კულტურების ყველა რაიონმა განუხრელად, ბოლშევიკური მონდომებით და ზუსტად განახორციელოს პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ყველა სუბტროპიკულ რაიონებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ციტრუსების პლანტაციების რემონტსა და აღდგენას. უნდა შეიქმნას ქარსაცავი ზოლების ფართო ქსელი, ამასთან, საქონლის მიერ გაფუჭებისაგან დაცვის მიზნით შემოირაგვოს ციტრუსების კულტურები, სანიმუშოდ იქნას დაყენებული ლიმონის, ფორთოხლის და ევკალიპტის მოვლა. დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალისტების შერჩევას და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებას ციტრუსოვანი კულტურების დარგში. თითოეული რაიონი, თითოეული კოლმეურნეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სანერგე მასალებით. სანერგეებისათვის საჭიროა შეიოჩეს საუკეთესო ნაკვეთები, გულდასმით მომზადდეს ნიადაგი, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად დაცვით ჩატარდეს გადარგვა, სანერგეებს გამგეებად უნდა შევარჩიოთ ყველაზე უფრო კვალიფიციური კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. ციტრუსების ნარგავებისა და სანერგეების მოვლის მკვეთრად გაუმჯობესება ადგილობრივი ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უნდა შესდგეს კონკრეტული გეგმა დასარევლიანებული პლანტაციის გასაწმენდად, იმ ვარაუდით, რომ მთელი ეს მუშაობა დამთავრდეს არა უგვიანეს 1 ნოემბრისა. წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი მთელი სადრენაჟო ქსელი. თითოეული პლანტაცია, თითოეული ხე, თითოეული ნერგი უზრუნველყოფილ უნდა იქნას გულისხმიერი მოვლით, სასუქის შეტანით, სისტემატურად ჩატარდეს წრეებისა და რიგთაშორისი გაწმენდა, ბრძოლა ციტრუსების მავნებლებთან.

ციტრუსების ნარგავების განვითარებისა და შენარჩუნების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება პლანტაციების დაცვას ქარისაგან.

ამხ. ლავრენტი **ბერია** მიგვითითებს, რომ „...ქარსაფარი ზოლები მეტად დიდ როლს თამაშობს. თუ გნებავთ, მოძავალში ჩვენ შეიძლება ქარსაფარმა ზოლებმა გვიხსნას ხოლმე, ეს ყოველგვარი სათბურიც კი შეიძლება ზედმეტი გახდეს. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ქარსაფარი ზოლების განვითარებას, რაც ჩვენში ჯერჯერობით მივიწყებულია“. საჭიროა სწრაფად წავწიოთ წინ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე, შევინარჩუნოთ არსებული, მოვაწყოთ ახალი, შემდგომ განვავითაროთ იგი ყოველ რაიონში.

პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმოო-მეურნეობრივ ორგანოებმა უმოკლეს ვადაში უნდა შეამოწმონ პლანტაციებიც შემორაგვის მდგომარეობა, რათა დაიცვან იგი საქონლით გაფუჭებისაგან. ყოველმხრივ გაძლიერონ პლანტაციების დაცვა, მკაცრ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელნიც უშვებენ ციტრუსოვანი კულტურების გამოძოვებას და გაფუჭებას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ ძვირფასი სუბტროპიკული კულტურის — ევკალიპტის ყველა ნარგავი 1 იანვრამდე აყვანილ უნდა იქნას აღრიცხვაზე და შესდგეს ევკალიპტის ნარგავების აღდგენის კონკრეტული გეგმა.

უაღრესად სერიოზულია ამოცანები, რომლებიც სუბტროპიკული კულტურების რაიონების, მისი მუშაკების წინაშე დგას.

სერიოზული ამოცანები დგას ჩვენს წინაშე მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და პურის დამზადების საქმეში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამ საკითხზე მოისმინა ამხ. ს. ხოშტარიას მოხსენება, მოიწონა საქ. სსრ სახკომსაბჭოს, ე. ი. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 8 ივნისის დადგენილება და საჭიროდ სცნო მისი შესრულების შემოწმება. წელს ადგილი აღარ უნდა ექნეს დანაკარგებს მოსავლის აღებაში. სამხედრო მოსავალი უდანაკარგოდ უნდა ავიღოთ. ამიტომ საჭიროა მოსავლის ასაღები ინვენტარი, ყველა მანქანა-იარაღი სანიმუშოდ იყოს მზად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსავლის თავის დროზე, დაუგვიანებლად აღებას, მინდვრიდან მის გამოტანას და საიმედო დაცვას.

საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ სამუშაოებზე ყველა კოლმეურნის—ქალისა და კაცის, საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშის გამოსვლას, ვინაიდან საშემოდგომო კულტურების მოსავლის აღება ემთხვევა საგაზაფხულო კულტურების დამუშავებას, და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ორივე დარგში წარმატება გვექნეს.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებსაც **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების აუღლისკვეთებით წლების განმავლობაში ზრდიდა ამხანაგი ლავრენტი **ბერია**, ყველაფერს გააკეთებენ სუბტროპიკული კულტურების შემდგომი განვითარების დარგში დიდი **სტალინის** მითითებათა შესასრულებლად, განუხრელად განახორციელებენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებებს, რითაც კიდევ უფრო გაძლიერებენ გმირი წითელი არმიისადმი დახმარებას გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

საბჭოთა კავშირზე გერმანელთა ურდოების თავდასხმის წლისთავის დღეს გადმოგცემთ თქვენ, საბჭოთა ხალხსა და მამაცი წითელი არმიის გმირ ჯარებს ჩეხოსლოვაკი ხალხის გულწრფელ მისალმებას და გამოვთქვამ იმის რწმენას, რომ თქვენი ღონისძიებებითა და ყველა გაერთიანებულ ერთა ღონისძიებებით საბოლოო გამარჯვება ნოუტანს ჩაგრულ ხალხებს მალე განთავისუფლებას გერმანელ ნაცისტთა მონობისაგან.

ედუარდ ბენეში.

მის აღმავლობულობას ბაჭონს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინს

გენერალისიმუს ჩან-კაი-შის დეპეშა

ნაცისტ დამპყრობლებისადმი თქვენი ქვეყნის წინააღმდეგობის მეორე წლისთავის დღეს პატივი მაქვს ჩემი გულწრფელი სალამი მოგიძღვნათ თქვენ, თქვენს გმირ წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში წითელმა არმიამ, განავითარა რა თავისი წარმატებანი, არა მარტო მოსპო აგრესორების შეიარაღებულ ძალთა დიდი რაოდენობა, არამედ გამანადგურებელი დარტყმებიც აგვმა მათს სულიერ მდგომარეობას. განუწყვეტელი ამბები გამარჯვების შესახებ მხნეობას უნერგავენ გულში ჩანეთის არმიის მებრძოლებს და ჩვენი ქვეყნის მთელ ხალხს.

ღერძის სახელმწიფოთა ბოროტმოქმედებებში არ არსებობს განსხვავება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი სახელმწიფოების ამოცანას ერთი და ივივე მიზანი აქვს დასახული. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ერთობლივი ღონისძიებანი აუცილებლად მიგვიყვანენ იქამდე, რომ აღგვილ იქნებიან პირისაგან პიწისა მსოფლიოს ყველა ავაზაკები, რომელნიც ფეხით სთელავენ მთელი კაცობრიობის თავისუფლებას, და უმოკლეს ხანში აღდგენილ იქნება სამართლიანი მშვიდობიანობა მთელ მსოფლიოში.

ძიან ჯუნ-ჯენი

მარშალ იოსებ სტალინს, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

გერმანელი აგრესორის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ხალხთა ბრძოლის დაწყების მეორე წლისთავზე ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის სახელით და პირადად ჩვენგან ჩვენი აღტაცება გამოვთქვათ რუსეთის გმირი არმიით იმ მომენტში, როცა ტუნისის გამარჯვებას, რომელშიც ფრანგთა ჯარებმა შესძლეს თავიანთი როლი შეესრულებინათ ამერიკისა და ბრიტანეთის არმიების მხარეზე, განთავისუფლების აღთქმა მოიქცა მათი ჯერ კიდევ ოკუპირებული ქვეყნისათვის. ფრანგებს არ ავიწყდებათ, თუ რა უნდა მიეკუთვნოს რუსი ხალხის ტანჯვას, საბჭოთა ჯარების მამაცობასა და მათი სარდლობის ღირსებას ღერძის ქვეყნების ძალებისათვის მიყენებულ დამარცხებებში.

ჟირუ, დე გოლი.

მის აღმავლობულობას ვ. მოლოტოვს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს

მოსკოვი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირზე ჰიტლერელთა თავდასხმის მეორე წლისთავის გამო პატივი მაქვს გამოვთქვა თქვენი აღმატებულების წინაშე ბელგიის მთავრობის ღრმა აღტაცება თავდადების იმ საუცხო სულისკვეთებისათვის, რაც გამოიჩინეს წითელმა არმიამ და ყველა საბჭოთა ხალხებმა დამპყრობის—ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ მათი დაუცხრომელი ბრძოლის ორი წლის განმავლობაში. მე გამოვთქვამ სურვილს, რომ საბოლოო გამარჯვებამ მალე დააგვირგვინოს ეს გმირობა და უზრუნველჰყოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის ხანგრძლივი ერა ყველა გაერთიანებულ ერთა შორის მჭიდრო და განუწყვეტელი თანამშრომლობის ფარგლებში.

სპაააკი,
ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ბრძანებაუღება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქალაქ თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის დარგში სანიმუშო მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით შემდეგი მუშაკები:

1. აკოფოვი გრიგოლ არკადის-ძე
2. ბლუშენკო ნიკოლოზ გიორგის-ძე
3. გოროდეცკაია ბარბარე ალექსანდრეს-ასული
4. იუშკევიჩი ნიკოლოზ ვალენტინ-ძე
5. კერეხელიძე ირაკლი მიხეილის-ძე
6. კვანტალიანი ნინო გიორგის-ასული
7. კროლი სიმონ გრიგორლის-ძე
8. მენთეშაშვილი ვახტანგ ივანეს-ძე
9. მეფარიშვილი მიხეილ ლევანის-ძე
10. ფკანეზოვი მიხეილ გიორგის-ძე
11. ყარაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე
12. ჩიკვაიძე იაკობ ბაგრატის-ძე
13. ჩომახიძე გიორგი მიხეილის-ძე
14. ხერხეულიძე ევგენია ნიკოლოზის-ასული
15. ხომერიკი გიორგი პეტრეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1943 წ. 23 ივნისი. ქ. თბილისი.

ბრძანებაუღება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის სოფელ პილენკოვოს სოფელ განთიადად და პილენკოვოს სასოფლო საბჭოს განთიადის სასოფლო საბჭოდ გადარქმევის შესახებ

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება გაგრის რაიონის სოფელ პილენკოვოს სოფელ განთიადად და პილენკოვოს სასოფლო საბჭოს განთიადის სასოფლო საბჭოდ გადარქმევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1943 წ. 23 ივნისი. ქ. თბილისი.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებისა და მეთაურების დაჯილდოება ამერიკის ორდენებითა და მედლებით

გულადობისა და მამაცობისათვის, რაც გამოჩენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საერთო მტერთან—ჰიტლერულ გერმანიასთან ბრძოლის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სარდლობის დავალებათა შესრულებისას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელი რიგი მებრძოლნი და მეთაურნი.

ორდენით „ჯვარი საბრძოლო დამსახურებისათვის“ დაჯილდოებული არიან გენერალ-ლეიტენანტი ი. ე. პეტროვი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. ჩუიკოვი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ი. პ. კამერა, სატანკო ჯარების გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ვ. მ. ბადანოვი, გენერალ-მაიორი ი. ა. ლასკინი და სხვები—სულ 20 კაცი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ დაჯილდოებულია 20 კაცი.

ორდენით „საზღვაო ჯვარი“ დაჯილდოებული არიან ვიცე-ადმირალი ნ. ე. ბასისტი, კონტრ-ადმირალი ს. გ. კუზნეცოვი, მეორე რანგის კაპიტანი ი. ი. ფისანოვიჩი და სხვები—სულ 10 კაცი.

ორდენით „დირსშესანიშნავი სამსახურისათვის“ დაჯილდოებულია 10 კაცი.

22 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ვ. სტენდლიმ, დაჯილდოებულთა მოსკოვში ჩამოყვანის გამო, ამერიკის ორდენები და მედლები გადასცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვს დაჯილდოებულთათვის შემდგომ ჩასაბარებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ბ-მა ვ. სტენდლიმ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა ბრიგანეთის ფრედ-უნიონთა დელეგაცია

ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის მესამე სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ჩამოვიდა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური მდივანი ამხ. უ. სიტრინი (დელეგაციის ხელმძღვანელი) ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრები—ამხ. ა. კონლეი და გ. ჰარისონი და ამხ. ვ. ფედერი (დელეგაციის მდივანი).

23 ივნისს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა დელეგაციას შეხვედრა ჰქონდა ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის საბჭოთა დელეგაციის წევრებთან—პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნებთან ამხ. ნ. მ. შვერნიკთან და კ. ი. ნიკოლაევთან და ცენტრალური რევინგზების მუშაოთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. პ. ტარასოვთან.

საღამოს დელეგაცია იყო მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიურ თეატრში, სადაც დაესწრო სპექტაკლ „ანა კარენინა“. დელეგაციას გულთბილად მიესალმნენ სპექტაკლზე მყოფი მაყურებელნი.

ჩვენი ავიაციის თავდასხმა მოწინააღმდეგის აეროდრომებზე და რკინიგზის კვანძ პსკოვზე

22 ივნისს ღამით ჩვენმა შორმოქმედმა ავიაციამ მოახდინა თავდასხმები მოწინააღმდეგის აეროდრომებზე. დაბომბვის შედეგად აეროდრომებზე მოსპობილი და დაზიანებულა გერმანელთა თვითმფრინავების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ძლიერ და გამანადგურებლად იქნა დაბომბილი რკინიგზის კვანძი პსკოვი. კვანძის მთელი ტერიტორია ხანძრების ალში იყო გახვეული. იწვოდა მოწინააღმდეგის საომარი მასალებისა და საწვავის საწყობები და რკინიგზის მრავალი ეშელონი. ხანძრებს თან სდევდა დიდი ძალის აფეთქებანი. ორი ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

გერმანელთა თვითმფრინავების თავდასხმა ლენინგრადის მახლობლად მდებარე დასახლებულ პუნქტებზე

23 ივნისს დღისით გერმანელთა თვითმფრინავების რამდენიმე ჯგუფმა სცადა თავს დასხმოდა ლენინგრადის მახლობლად მდებარე ორ დასახლებულ პუნქტს. ჩვენი ავიაგამანადგურებლები მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს დახვდნენ, თავს მოახვიეს მათ საჰაერო ბრძოლები და გაჰფანტეს 4 თვითმფრინავი ობიექტების მისადგომებზე. მტრის ცალკეულმა თვითმფრინავებმა უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ბომბები, რომლებითაც მოყენებულია უმნიშვნელო ზარალი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 19 თვითმფრინავი. ჩვენ 4 თვითმფრინავი დავკარგეთ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

24 ივნისის დილის ცნობა

23 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ანტიკუნტი საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა სწარმოებდა. უმცროს სერჟანტ ამხ. ყურავლიოვის ქვეშევრდომ გუნდმა ღამის წყვდიადში წასწია ჰაუბიცი მტრის თავდაცვის წინა კიდესაკენ და ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა. გათენებისას არტილერისტებმა ცეცხლი დაუშინეს და რამდენიმე ყუმბარით მოსპეს მოწინააღმდეგის სატყვიამფრქვევო წერტი. 5 ნაწილის 28 სნაიპერმა უმცროს ლეიტენანტ ამხ. კუზნეცოვის მეთაურობით ერთი თვის განმავლობაში გაჟლიტა 250 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მცენსკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი მზვერავები ღამით შეიჭრნენ გერმანელთა სანგრებში და მოსპეს 8 ჰიტლერელი. მზვერავებმა გამოარკვიეს ჰოწინაალმდეგის საცეცხლე წერტების განლაგება, ხელთ იგდეს მტრის ნაღმსატყორცნი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეგანაყოფში. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი. მტრის ერთი ბომბდაშმენი იძულებული გახდა დაშვებულიყო ჩვენს ტერიტორიაზე. გერმანელი მფრინავები წამოყვანილი არიან ტყვედ.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენმა არტილერისტებმა გაანადგურეს გერმანელთა ბატალიონის შტაბი. სხვა უბანზე 5 საარტილერიო ნაწილმა რამდენიმე ხალთით ხანძრის 40-ზე მეტი კერა გაანადგურა მოწინააღმდეგის განლაგებაში. სხვა საარტილერიო ნაწილმა სროლა აუტეხა რკინიგზის სადგურს. ყუმბარები მოხვდა მოწინააღმდეგის ეშელონს.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე ჩასაფრდნენ სნაიპერები ამხ. მინაევი, ბესპალოვი და ნაღმსატყორცნის გუნდი ამხ. შაპოშნიკოვის მეთაურობით. ნაღმმტყორცნელებმა დაუშინეს მტრის ბლინდაჟს. გერმანელებმა ბლინდაჟიდან ამოხტომა იწყეს. სნაიპერებმა სროლა აუტეხეს და ზედიზედ ცხრა ჰიტლერელი გაჟლიტეს.

* * *

ვოლინის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 7 ივნისს დანაღმა რკინიგზის ლიანდაგი იმ უბანზე, სადაც გზა მკვეთრად უხვევს. ნაღმებზე აფეთქდა და ფერლობზე გადაჩეხა გერმანელთა ეშელონი. დაინტერეს რამდენიმე ვაგონი და ექვსი პლატფორმა. ეფეთქებინად ეტეხიანდა ბევრი ვაგონი. 10 ივნისს ტერაიფელ პარტიზანებმა ჯგუფმა ნაღმები დაუდეს ფოლიანდაგზე. ორი ეშელონი ჩაიფლეთ. ეშელონებიდან დაინტერეს 21 ოთხთვალა ვაგონი სამარაგო ნაწილებიანად და 3 ცისტერნა ბენზინიანად.

* * *

ტყვედ წამოყვანილს გერმანელთა 161-ე ქვეითი დივიზიის 336-ე პოლკის მე-6 ასეულის ჯარისკაც ოტო ჰარბეკეკი აღმოაჩნდა მაბოსა და დიაგან გერმანიიდან მიღებული წერილები. ბამის წერილში ნათქვამია: „...ამ უკანასკნელ ხანს ინგლისელმა მფრინავებმა ჰალიან დიდი ზარალი მიაყენეს ესენი დორტმუნდს, ბოხუმსა და დუისბურგს. მენის ჯერბარი საფლებით დანგრეულია. დაიხრჩო მრავალი ადამიანი და ჰიროტყვი. ბომბები მოხვდა ედერის რაბასაც, იქაც დიდი ნგრევაა გამოწვეული“. დის წერილში ნათქვამია: „...ამაღამ სრულდება ორი კვირა იმ დღიდან, რაც ინგლისელებმა დაანგრიეს მენის ჯერბარი. წყალსაცავიდან მთელი წყალი დაიღვარა. დაიღუბა ძალიან ბევრი ადამიანი. ესეც ისევ კი წყალდიდობა იყო. ქალაქი ნეგეიმი წალეკილია წყლით. ახლა მატარებლები ნეგეიმზე არ დადიან“.

* * *

მიღებულია ცნობა გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ ჩადენილი ახალი სამიმეული ბოროტმოქმედების შესახებ ვოლოსოვოში, ლენინგრადის ოლქში, ჰიტლერელებმა შეიპყრეს 8 მოზარდი და ძალით გამოაცალეს მათ სისხლის დიდი დოზები დაჭრილი გერმანელი ოფიცრებისათვის გადასასხმელად. ყველა მოზარდი მოკვდა.

* * *

ფრანგმა პატრიოტებმა ლიონში ცეცხლი წუკიდეს გერმანელი ოკუპანტების ნავთის დიდ საწყობს. ლონგოს, ამიერისა და შამბლიას რკინიგზის დეპოებში მუშებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 25 ორთქლმავალი. გრანვილში პატრიოტებმა დასწვეს შენობა, რომელიც ჰიტლერელებს ეკავათ. კრონობლის მახლობლად თავისუფალმა მსროლელებმა გაჟლიტეს გერმანელთა რაზმი, რომელიც ახლდა ალბდა სამხედრო ტრანსპორტს.

24 ივნისის საღამოს ცნობა

24 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგის პოზიციებს უშენდნენ. არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 8 ბლინდაჟი და მოსპობილია 8 ტყვიამფრქვევი. 6 ნაწილის მზვერავთა ჯგუფმა წარმატებით მოახდინა თავდასხმა მოწინააღმდეგის განლაგებაზე. საბჭოთა მებრძოლებმა გერმანელთა საბრძოლო დაკავა მოსპეს, 4 ბლინდაჟი ააფეთქეს, ხელთ იგდეს დაზგის ტყვიამფრქვევი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. სხვა უბანზე ჩვენმა საბრძოლო დაცვამ მოწინააღმდეგის მზვერავი ასეულის იერიში მოიგერია.

* * *

ბელგოროდის დასავლეთით ჩვენი ქვეგანაყოფები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწოდნენ. საბჭოთა მებრძოლები, მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტში შეიჭრნენ, გერმანელთა 3 დიდი ძლმიწური საცეცხლე წერტი და რამდენიმე სატყვიამფრქვევო წერტი მოსპეს. მტერს 180 მოკლული დარჩა ბრძოლის ველზე. ექვსმა სნაიპერმა საბჭოთა კავშირის გმირ ზემდეგ ნიკოლოზ ილინის მეთაურობით 7 დღე გაატარა სფეარში ჩვენი თავდაცვის წინა კიდეზე. ამ ხნის განმავლობაში სნაიპერებმა 125 ჰიტლერელი მოჰკლეს.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენი არტილერისტები საარტილერიო ცეცხლს უშენდნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში შეჩნეულ მიზნებს. ერთ უბანზე მათ დაუშინეს სახლს, რომელშიც თავი მოეყარა ბევრ ჰიტლერელს. ყუმბარების პირდაპირი მოხვედრებით სახლი დანგრეულ იქნა. სხვა უბანზე 5 ნაწილის არტილერისტ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 ივნისის დილის ცნობა

22 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის ნაღმტყორცნელებმა დაანგრიეს მოწინააღმდეგის 3 ბლინდაჟი, მოსპეს 2 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე ავტომანქანა. სხვა უბანზე უფროს სერჟანტ ამხ. როდიონოვის ქვემეხის გუნდმა დაამტვრია გერმანელთა ქვემეხი და მოსპო მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე 5 ნაწილის მზვერავებმა ამხ. პოლუტინის მეთაურობით შეაღწიეს მოწინააღმდეგის განლაგებაში, ააფეთქეს მტრის 1 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და რამდენიმე მიწური. სნაიპერთა ჯგუფი უმცროს ლეიტენანტ ნიკოლოზ სემონოვის მეთაურობით ჩასაფრებული იყო თითქმის 10 დღე-ღამეს. ამ ხნის განმავლობაში სნაიპერებმა გაჟლიტეს 192 გერმანელი. უფროსმა სერჟანტმა ამხ. იასნოვმა და ეფრეიტორმა ამხ. ვასკინმა მოსპეს 36 ჰიტლერელი, უფროსმა სერჟანტმა ამხ. კონიუკამ—16, სერჟანტმა პავლე ტიხომიროვმა—13, სნაიპერმა ნატაშა სავიშნენკომ—13 ჰიტლერელი.

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა მოწინააღმდეგის ერთ-ერთ აეროდრომს. დაბომბვის შედეგად აეროდრომზე მოსპობილია გერმანელთა 20-მდე თვითმფრინავი.

* * *

პინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა კიროვის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 2 სამხედრო ეშელონი, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდნენ. დამტვრეულია ორთქლმავალი და 29 ვაგონი. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ააფეთქა რკინიგზის ხიდი, მოსპო ავტომანქანა და მასში მყოფი სამი გერმანელი ოფიცერი. გომელის პარტიზანების რაზმმა მოაწყო მოწინააღმდეგის რამდენიმე ეშელონის მარცხი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 3 ორთქლმავალი და 26 ვაგონი.

* * *

პოზნანში პოლონელმა პატრიოტებმა ააფეთქეს გერმანელი ოკუპანტების საწყობი სამამარ მასალიანად. კატოვიცის მახლობლად რკინიგზელებმა მოაწყეს გერმანელთა სამხედრო ეშელონის მარცხი. პოლონელმა პატრიოტებმა ვარშავაში მოჰკლეს 9 გერმანელი ოფიცერი. მოკლულთა შორის არის რკინიგზის პოლიციის უფროსის მოადგილე ჰენრიხ გლეიმი. პარტიზანებმა დანაღმეს ჯარისკაცთა ბანაკი. ნაღმების აფეთქებისას მოკლულ და დაჭრილ იქნა მრავალი ჰიტლერელი.

23 ივნისის საღამოს ცნობა

23 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა შავ ზღვაში ჩასხრიეს მოწინააღმდეგის 2 სადესანტო თვითმავალი კარუპანი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე, მოწინააღმდეგის პოზიციებზე საბჭოთა არტილერიის ცეცხლითი თავდასხმის შემდეგ, ჩვენი მზვერავი რაზმი გერმანელთა სანგრებში შეიჭრა. გაჩაღებულ ბრძოლაში მზვერავებმა მოსპეს მტრის სულ ცოტა 100 ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს ტყვეები. მოიპოვეს რა ძვირფასი ცნობები მოწინააღმდეგის თავდაცვის სისტემის შესახებ, მზვერავები თვითონ ნაწილში დაბრუნდნენ. დანარჩენ უბნებზე კანტიკუტი სროლა იყო. ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი და ჩაახშეს მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

* * *

ბელგოროდის დასავლეთით 6 ნაწილის ქვეგანაყოფები მოწინააღმდეგის თავდაცვის დაზვერვას ეწეოდნენ. ათეულის მეთაურმა ამხ. კოპაცვი ფარულად მიხოხდა გერმანელთა ძელმიწურ საცეცხლე წერტილთან და ტანკსაწინააღმდეგო გრანატით ააფეთქა იგი შიგ მყოფ ჯარისკაცებიანად. ტყვიამფრქვევის გუნდის მეთაური სერჟანტი ამხ. კონეკინი ბრძოლის დროს დაიჭრა, მაგრამ სროლას განაგრძობდა. მან მოსპო მტრის ტყვიამფრქვევი და გააქცია ჰიტლერელთა დიდი ჯგუფი. წითელარმიელი ამხ. მაქსიუტინ, მიეპარა გერმანელთა სანგრებს და ავტომატის ცეცხლით მოსპო 20 ჰიტლერელი. წითელარმიელი ამხ. სკიბინი ერთ-ერთი პირველი შეიჭრა გერმანელთა სანგრებში და, მოქმედებდა რა ხიშტითა და კონდახით, მოსპო 15 გერმანელი. წითელარმიელმა ამხ. ბარხომენკომ სროლითა და ხიშტით დახოცა 20-მდე ჰიტლერელი. ბრძოლის შედეგად ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და წარმატებით შესრულეს მათ წინაშე დასმული ამოცანა.

* * *

ჩუგუევის აღმოსავლეთით ძირს დაეშვა გერმანელთა ორი თვითმფრინავი. მფრინავები წამოყენილი არიან ტყვედ.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე აქტიურად მოქმედებენ მზვერავი ჯგუფები. ერთ უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა შეაღწიეს მოწინააღმდეგის ზურგში და ჩასაფრდნენ გზაზე. მალე გამოჩნდა გერმანელთა რაზმი. როცა ჰიტლერელები 6-7 მეტრ მანძილზე მოახლოვდნენ, მზვერავებმა ერთბაშად დაუშინეს. გერმანელები შიშით მიწაზე დაეცნენ. საბჭოთა მებრძოლებმა ავტომატების ცეცხლითა და ხიშტებით გაჟლიტეს 15 ჰიტლერელი, ხოლო ხუთი ტყვე წამოიყვანეს.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს მტრის 180-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე, დაანგრიეს გერმანელთა 13 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 5 ბლინდაჟი, მოსპეს 5 ტყვიამფრქვევი და ჩაახშეს რამდენიმე საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. სნაიპერებმა—უმცროსმა სერჟანტმა ნიკოლოზ ზალესკიმ და ეფრეიტორმა ზინოვმა შარკოვმა ერთი დღის განმავლობაში მოაკვლიეს და გაჟლიტეს 11 ჰიტლერელი.

* * *

მინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი რამდენიმე დღის განმავლობაში შეუტოვარ ბრძოლებს აწარმოებდა გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციასთან. პარტიზანებმა მძიმე ზარალი მიაყენეს ჰიტლერელებს და აიძულეს ისინი უკან დაეხიათ. ამ ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა გაჟლიტეს 80-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს მტრის 2 ტანკი, 2 ნაღმსატყორცნი, 4 ტყვიამფრქვევი და 8 ავტომანქანა, ხელთ იგდეს 2 ქვემეხი, 30 შაშხანა, ერთი შსუბუქი ავტომანქანა და სხვა ნაღები. პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 2 სამხედრო ეშელონი. რკინიგზის აღმდგენელმა გერმანელთა ნაწილმა ვაგონების ნამსხვრევებიდან ამოიღო 211 მოკლული და დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ყარაჩაის ავტონომიური ოლქის მშრომელნი ხუთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იტანჯებოდნენ გერმანელი ოკუპანტების ქუსლქვეშ. ეს თვეები ყველაზე მძიმე და შავბნელი იყო ყარაჩაის ისტორიაში. ჰიტლერელებმა სპობდნენ ოლქის მატერიალურ სიმდიდრეს, კულტურულ და ისტორიულ განძეულობას, ულმობლად ხოცავდნენ სტანიცებისა და აულების მშვიდობიან მოსახლეობას. მიქოიანის რაიონში გერმანელმა კაციჭამიებმა აწამეს და დახვრიტეს 860 მოხუცი, ქალი და ბავშვი. ზელენჩუკის რაიონში ფაშისტი არამზადების ხელით დაიღუპა 260 მშვიდობიანი მცხოვრები. პრეგრადნაიას რაიონში ჰიტლერელებმა გაჟლიტეს 280 მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე. კურორტ ტებერდაზე ჰიტლერელებმა შიმშილით დახოცეს ბევრი ბავშვი, რომლებიც ძვლის ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმებში იმყოფებოდნენ. გერმანელებმა დააპატიმრეს სამეფიცინო მუშაკთა დიდი ჯგუფი და მირეკეს ისინი მთის ძირას, ორ კილომეტრზე კურორტ ტებერდის ჩრდილოეთით. აქ ჯალათებმა დაპატიმრებულნი აიძულეს საფლავები გაეთხარათ, ხოლო შემდეგ ყველანი დახვრიტეს. ასობით საბჭოთა ადამიანი დაიღუპა გერმანელთა ჯურღმულებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ აპატიებს საზიზღარ მტერს მის სისხლიან დანაშაულობას და შურს იძიებს ფაშისტ მკვლელებზე ყველა მათი საშინელი ბოროტმოქმედებისათვის.

თბილისელი მაუდელების წარმატება

თბილისის ჰაუდ-კამოლის ფაბრიკის „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლის პირველი ნახევრის გეგმა. რეალიზებულია ვალდებულებანი, რომლებიც კოლექტივმა იკისრა ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებისა და ქართველ მებრძოლთა მიერ საქართველოს მშრომელთათვის გამოგზავნილი წერილის პასუხად წლის პირველ ნახევარში.

20 ივნისისათვის შესრულებული იყო საერთო პროდუქციის გაფოშვების გეგმის 102,7 პროცენტი. თვის დარჩენილ დღეებში ფაბრიკა გეგმის გადამეტებით გამოუშვებს ათასობით მეტრ ქსოვილს. (საქ‌ფინი).

ინგლისი

მიჯინგები ინგლისში საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მეორე წლისთავთან დაკავშირებით

ლონდონი, 23 ივნისი (საკადესი). გუშინ საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მეორე წლისთავის დღეს, მთელ ინგლისში შეადგა მიტინგები, რომლებშაც ჩაიარა ინგლის-საბჭოთა კავშირის ერთიანობის ნიშნით. ჰვიდპარკში (ლონდონის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) შემდგარ მიტინგს წინ უძღოდა დემონსტრაცია. ბირმინჰამში გამართულ მიტინგში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის მრავალი საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებმა, ქალაქ სტეინსში (მიდლსექსის საგრაფო) მოუწყო ინგლის-საბჭოთა კავშირის კვირეული. ამის გამო შემდგარ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თავდაცვის რაზმებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის რაზმების წარმომადგენლებმა. ქალაქ ჰეისში (მიდლსექსის საგრაფო) გაიმართა კონცერტი, რომელზეც შეასრულეს საბჭოთა სიმღერები.

ხალხმრავალი მიტინგები შესდგა აგრეთვე გლაზგოში, ედინბურგში და შოტლანდიის ბევრ სხვა ქალაქში.

ქალაქ სლაუში შემდგარ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის განათლების მინისტრმა ბატლერმა.

ბევრ მიტინგზე საბჭოთა კავშირის დახმარების ფონდისათვის გადაცემულ იქნა მოსაბლეობაში შეგროვებული ფულადი სახსრები.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 23 ივნისი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის მძიმე ბომბდამშენების დიდმა შეიარაღებამ, დასძლიეს რა მტრის ავიაგამანადგურებელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, გუშინ გაფთრეგის დამბობეს სინთეზური კაუჩუკის ქარხანა გულსში და „ჯენერალ მოტორსის“ ფირმის საავტომობილო ქარხანა ანტვერპენის მახლობლად. ორივე ობიექტის რაიონში ძლიერი ხანძრები გაჩნდა. მოსპობილია მოწინააღმდეგის ბევრი თვითმფრინავი.

მოკავშირეთა ავიაგამანადგურებლების მრავალრიცხოვანი ესკადრილიები ეხმარებოდნენ ინგლისის ბომბდამშენების მოქმედებას, რომლებმაც იერიში მიიტანეს დოკებსა და გემთსაშენებზე როტერდამში. ყველა ამ ოპერაციებიდან თავიდან ბაზებში არ დაბრუნებულა 24 თვითმფრინავი.

საღამოს ინგლისის ავიაციამ ჰოლანდიის სანაპიროსთან იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის გემების ქარავანზე, რომელიც ძლიერი ბადრაგის თანხლებით სამხრეთისაკენ მიდიოდა. ჩაძირულია მტრის საესკორტო ხომალდი.

22 ივნისს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა მოახდინეს ზეტად კონცენტრირებული თავდასხმა მიფლჰაიმში (რური) არსებულ მთელ რიგ ობიექტებზე. ბევრგან გაჩნდა ხანძარი და მოხდა აფეთქებანი.

ხმელთაშუა ზღვის ბასეინში მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა სალერნოზე (ნეაპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით).

ინგლისის მეფე ეწვია მაღლას

ლონდონი, 23 ივნისი (საკადესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის მეფე 20 ივნისს მალტას ეწვია.

გერმანიის მოსახლეობას ძალით არმიყვანენ ფანისამოსს

სტოკჰოლმი, 23 ივნისი (საკადესი). ჰიტლერელი ხელისუფალნი გერმანიის მოსახლეობას ძალით არმიყვანენ ტანისამოსსა და ფეხსაცმელს. ამასთან ჰიტლერელები უაღრესად გაცვეთილ ძონძებსაც კი არ თაკლობენ. გერმანულ გაზეთ „პრეისიშე �იტუნგის“ აღიარებთ მიუხედავად იმისა, რომ „უკანასკნელ დღეებში გაზეთები, პლაკატები, რადიო და ოფიციანი. საბჭოთა არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე, დაანგრიეს გერმანელთა 13 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 5 ბლინდაჟი, მოსპეს 5 ტყვიამფრქვევი და ჩაახშეს რამდენიმე საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. სნაიპერებმა—უმცროსმა სერჟანტმა ნიკოლოზ ზალესკიმ და ეფრეიტორმა ზინოვმა ერთი დღის განმავლობაში მოაკვლიეს და გაჟლიტეს 11 ჰიტლერელი.

* * *

მინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი რამდენიმე დღის განმავლობაში შეუტოვარ ბრძოლებს აწარმოებდა გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციასთან. პარტიზანებმა მძიმე ზარალი მიაყენეს ჰიტლერელებს და აიძულეს ისინი უკან დაეხიათ. ამ ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა გაჟლიტეს 80-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს მტრის 2 ტანკი, 2 ნაღმსატყორცნი, 4 ტყვიამფრქვევი და 8 ავტომანქანა, ხელთ იგდეს 2 ქვემეხი, 30 შაშხანა, ერთი შსუბუქი ავტომანქანა და სხვა ნაღები. პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 2 სამხედრო ეშელონი. რკინიგზის აღმდგენელმა გერმანელთა ნაწილმა ვაგონების ნამსხვრევებიდან ამოიღო 211 მოკლული და დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ყარაჩაის ავტონომიური ოლქის მშრომელნი ხუთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იტანჯებოდნენ გერმანელი ოკუპანტების ქუსლქვეშ. ეს თვეები ყველაზე მძიმე და შავბნელი იყო ყარაჩაის ისტორიაში. ჰიტლერელებმა სპობდნენ ოლქის მატერიალურ სიმდიდრეს, კულტურულ და ისტორიულ განძეულობას, ულმობლად ხოცავდნენ სტანიცებისა და აულების მშვიდობიან მოსახლეობას. მიქოიანის რაიონში გერმანელმა კაციჭამიებმა აწამეს და დახვრიტეს 860 მოხუცი, ქალი და ბავშვი. ზელენჩუკის რაიონში ფაშისტი არამზადების ხელით დაიღუპა 260 მშვიდობიანი მცხოვრები. პრეგრადნაიას რაიონში ჰიტლერელებმა გაჟლიტეს 280 მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე. კურორტ ტებერდაზე ჰიტლერელებმა შიმშილით დახოცეს ბევრი ბავშვი, რომლებიც ძვლის ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმებში იმყოფებოდნენ. გერმანელებმა დააპატიმრეს სამეფიცინო მუშაკთა დიდი ჯგუფი და მირეკეს ისინი მთის ძირას, ორ კილომეტრზე კურორტ ტებერდის ჩრდილოეთით. აქ ჯალათებმა დაპატიმრებულნი აიძულეს საფლავები გაეთხარათ, ხოლო შემდეგ ყველანი დახვრიტეს. ასობით საბჭოთა ადამიანი დაიღუპა გერმანელთა ჯურღმულებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ აპატიებს საზიზღარ მტერს მის სისხლიან დანაშაულობას და შურს იძიებს ფაშისტ მკვლელებზე ყველა მათი საშინელი ბოროტმოქმედებისათვის.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

(„საქჩაის“ 20 ივნისის ცნობებით)

რაიონები	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტობით მაისის დასაწყისის ჩათვლით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	რაიონები	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტობით მაისის დასაწყისის ჩათვლით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	71,5	32,9	წულუკიძე	24,9	29,5
ქობულეთი	62,8	28,2	ქუთაისი	66,7	40.0
გალი	77,7	36,9	წყალტუბო	99,4	44,6
ოჩამჩირე	52,0	29,0	ტყიბული	81,2	38,5
გულრიფში	57,0	27,1	ცხაკაია	32,2	30,8
სოხუმი	78,0	32,0	აბაშა	66,0	34,3
გუდაუთი	50,5	30,4	გეგეჭკორი	43,3	31,8
მახარაძე	60,6	28,2	ზუგდიდი	37,5	30,7
ჩოხატაური	60,9	31,7	წალენჯიხა	46,4	34,2
ლანჩხუთი	44,2	24,6	ჩხოროწყუ	46,7	32,4
სამტრედია	62,9	37,6	ხობი	44,2	32.3

ნიგოზიანის (ლანჩხუთის რაიონი), უშაფათის (ცხაკაიას რაიონი) და გალის (გალის რაიონი) ჩაის ფაბრიკებიდან ახალი ცნობების წარმოებენლობის გამო ცხრილში შეტანილია 15 ივნისის მაჩვენებლები.

გერმანელებისაგან წართმეული ნადავლი საჭურვლის ნიმუშების გამოფენა

(1941 - 1943 წწ.)

22 ივნისს მოსკოვში გაიხსნა გერმანელებისაგან 1941-1943 წლების ბრძოლების დროს წართმეული ნადავლი საჭურვლის ნიმუშების გამოფენა. ათასობით ხალხი იყო აქ გამოფენის გახსნის დღეს, რომელიც დაემთხვა სამამულო ომის მეორე წლისთავს.

თავისი სამშობლოსათვის, წითელი არმიისათვის დიდი პატრიოტული სიამაყის გრძნობით ეცნობოდნენ მიმსვლელნი გამოფენაზე თავმოყრილ ყველა სახის თანამედროვე საჭურვლის ნიმუშებს—წითელი არმიის მიერ მოსკოვის მისადგომებზე, სტალინგრადთან, ლენინგრადის ფრონტზე და სამამულო ომის სხვა ფრონტებზე მოგებული ბრძოლების ამ მოწმეთ.

ავიაციის განყოფილება იწყება გერმანელთა ვეებერთელა ბომბდამშენით „ფოკე-ვულფ-200“. ადამიანები აკვირდებიან მანქანებს და კიდევ უფრო მეტი ყურადღებით—მათს უთვალავ ნახვრეტებს — საბჭოთა მფრინავების ხაბრძოლო ოსტატობის მოწმობას.

გამოფენის მარცხენა ფლანგზე გროვად დგას ტანკები. ომის ორი წლის განმავლობაში ხელთ ვიგდეთ და მოვსპეთ მტრის 42.400 ტანკი. როცა თვალნათლივ ხედავ ამ ტანკების ნიმუშებს, როგორღაც უფრო კონკრეტულად გაისაზრიებ ამ გრანდიოზულ ციფრს, უფრო ნათლად წარმოიდგენ, თუ რა ძალა უნდა გქონდეს, რომ ასეთი ზარალი მიაყენო მტერს.

გამოფენის ხაარტილერიო განყოფილებაში წარმოდგენილია 150-ზე მეტი ექსპონატი—ათასობით სხვადასხვა კონსტრუქციის, დაწყებულ ფეხ 20-